ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6907001

ნომერი: AR11017261

თარიღი : 20.02.2024

გაცემის თარიღი : 27.02.2024

გაცნობის თარიღი : 28.02.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 20 თებერვლის №AR11017261 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 19

დეკემბრის №6812897 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №13-ში მდებარე №01.17.12.003.244 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №9; ნაკვეთი №9) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 19 დეკემბრიდან 2024 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელი განმარტავს, რომ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში №01.17.12.003.218 საკადასტრო კოდის ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა ს/კ: №01.17.12.003.236 საკადასტრო კოდი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია 24 ღია ავტოსადგომი, მათ შორის 18 ღია ავტოსადგომი ფიქსირდება №01.17.12.003.244 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, 5 ღია ავტოსადგომი - №01.17.12.003.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო №01.17.12.003.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 1 ღია ავტოსადგომი. თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებაში №01.17.12.003.218 საკადასტრო კოდის ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა ს/კ: №01.17.12.003.236. შესაბამისად, შესაძლებელია ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში №01.17.12.003.236 საკადასტრო კოდის ნაცვლად დაფიქსირდეს ს/კ: №01.17.12.003.218.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 დეკემბრის №6812897 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.